




ხაშურის მოსამართი



№39 (240)

14 ოქტომბერი, ორშაბათი, 2019 წელი

დღეს სვეტიცხოვლისა, დღესასწაული - „კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“ გილოცავთ!

მცხეთობა, სვეტიცხოვლისა, კვართის დღესასწაული — ქრისტიანული დღესასწაული საქართველოში. იმართვება ქ. მცხეთის საკათედრო ტაძარში, სვეტიცხოვლიში, 14 ოქტომბერს (ახ. სტ.). დაწესებულია საქართველოს



მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სადიდებლად „კვართისა საუფლოსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა“. ამ დღეს, ასევე აღინიშნება მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას, წმინდა სიღონიასა და აბიათარის ხელისაც.

ლეგენდის მიხედვით, იქნება კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ეპრაელებს, ელიოზება და ლონგინოზე, რომელებიც ქრისტეს ჯვარცმას ესტრებოდნენ. ელიოზემა სიწმინდე მცხეთაში ჩამოიტანა და თავის დას, მართლმორწმუნე სიღონიას გადასცა, რომელმაც კვართი მკერდზე მიიხურა და სული განუტანა. ელიოზემა თავისი და კვართითურთ დაკრძალა. საფლავზე ამოსულა მშვენიერი ხე, რომელიც ოთხი საუკუნის შემდეგ მეცე მირიანის ბრძანებით ეკლესიის ასაშენებლად მოუქრიათ ხუროებს, მისგან დაუშავებიათ შვიდი სვეტი, მ.შ. ერთი, სახილგელად საკვირველი და სასწაულმოქმედი, ვერ აღუმართავთ. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-ველრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაკრძალული. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარიც.

ისტორიულად, ამ დღეს იმართებოდა დიდი წირვა და მრავალი მღლოცველი მოდიოდა საკლავითა და უსისხლო შესაწირავით. წირვის შემდეგ, მღლოცველები ტაძრის გალავანში შლილები სულინებული იყენებოდა აურობა. საქართველოს დამოუკიდებლობის ადდგენის (1991 წ.) შემდეგ, მცხეთობის დღესასწაული ადდგა და ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადდა. ტრადიციულად, ამ დღეს წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ადალენეს სვეტიცხოველში, ხოლო შემდეგ იმართება სახალხო სეირნობა მცხეთის ქუჩებში, საესტრადო და ხალხური შემოქმედების კონცერტები, გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები.



ხაშურის ნაციონალური - ნაციონალური სისცემის მშენებლობას საფრანგეთის განვითარების სააგენციო (AFD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი დააფინანსებენ

საქართველოს ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი საფრანგეთის განვითარების საგენტოს (AFD) ევრაზიის, თურქეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ დირექტორს ხელით აუცილებელი შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაშე მხარეებმა თანამშრომლობის აურსაეჭირები განიხილა. პირველი ინურასტრუქტურული პროექტი, რომელსაც საქართველოში დააფინანსებს, ხაშურის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მშენებლობა იქნება.

გერმანიის რეკონსტრუქციის საერედიტო ბანკთან (KfW) ერთად საქართველოს, ჯამში, 180 მლნ ევროს დირექტულების სესხს გამოუყოფს.



ხაშურში ევროპის მემკვიდრეობის დღეები აღინიშნა

5 ოქტომბერს, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის მთავარ მოედანზე, ევროპის მემკვიდრეობის დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო



კონცერტი გაიმართა.

ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა მრავალფეროვანი პროგრამა წარმოადგინეს და მაყურებლის მოწოდება დაიმსახურეს.

მიძღვნილი ტერიტორიაზე გაიმართა თემატური გამოფენებიც.

ლონისძიებების ორგანიზატორები იყვნენ, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური და ა(ა)იპ „კულტურის ცენტრების გაერთიანება“.

ევროპის მემკვიდრეობის დღეები ევროპულ დირექტულებზე დაფუძნებულ ღონისძიებათა ერთობლიობას წარმოადგენს და მიმართულია ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის, როგორც საერთო ევროპული მემკვიდრეობის ცენტრების გაერთიანება“.

საქართველოს მუნიციპალური განვი- თარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა რეაბილიტირებული საბავშვო ბალი და „ივერიის“ სტადიონის მშენებლობა დაათვალიერეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპაშვილმა და ა(ა)იპ „საბავშვო ბალის გაერთიანების“ ხელმძღვანელმა თათია ბროლიძემ, სისპარმატე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს ხაშურში მდგბარე, უკვე რეაბილიტირებული №7 სააღმზრდელო დაწესებულება დაათვალიერებინება.

№7 საბავშვო ბალის რეაბილიტაციის პროექტი, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა და ღირებულებამ 904 000 ლარი შეადგინა.

სააღმზრდელო დაწესებულება 6 ასაკობრივ ჯგუფზეა გათვალისწინებული და 200 ადსახლელის ემსახურება. პროექტის ფარგლებში, მოეწყო შენობის მიმდებარე ტერიტორიაც.

ქალაქის სტუმრებმა, ასევე მოინახულების ცენტრალური „ივერიის“ სტადიონის მშენებლობის სამუშაოებიც.

„ივერიის“ სტადიონის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და მსოფლიო ბანკის მიერ არის თანადაფინანსებული, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორციელდება. პროექტი ითვალისწინებს



სტადიონის სრულ რეაბილიტაციას: მოეწყობა ტრიბუნები, დამხმარე ნაგებობები, განათება, ელექტროტაბლო, ღობეები, პარკინგი, გამწვანედება მიმდებარე ტერიტორია. 2100 მაყურებელზე გათვალისწინებული სტადიონის მშენებლობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში პროფესიული სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა



8 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ცერცვაძემ სხდომაზე წარმოადგინა ჯანდაცვისა და სოციალურებულების სფეროში განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზი. აღინიშნა, რომ იმ 1600-ზე მეტი ბენეფიციარიდან, რომელსაც პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დახმარება გაეწია, 60% ქალია.

მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩატარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფისთვის დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი წარმოადგინა მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენელმა ხათუნა ელისაშვილმა. – მუნიციპალიტეტის შემოქმედებით და კულტურულ ცხოვრებაში ქალთა წვლილი აღსანიშნავი და დაფასებულია, - აღინიშნა მან.

გენდერული საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში ცვლილება შევიდა - მას ახალი წევრი, სოფელ ჩორჩანაში მცხოვრებ ლელა კაპანაძე დაქმატა. ლელა კაპანაძემ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რაც სოფელ ჩორჩანაში მცხოვრებ ქალებს და ბავშვებს აქვთ. საბჭოზევე დაისახა იმ ხარვეზების გამოსწორების გზები, რაც ჩორჩანაში მცხოვრებ ბავშვებს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ დონისძიებებზე დასწრებას უზრუნველყოფს.

მუშის გარდაცვალების გამო, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს სამუშაო პროცესი შეუჩერა და 50 000 ლარით დააჯარიმა

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ იმიჯინგზე სამუშაო პროცესი შეაჩერა და კომპანია 50 000 ლარით დააჯარიმა.

ქვიშებთი-ზარეს დამაკავშირებელი გვირაბის გაყვანითი სამუშაოებისას, რომელსაც აწარმოებს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ მუდმივმოქმედი ფილიალი საქართველოში, მოხდა უბედური შემთვევა, რასაც მოჰყვა ერთი დასაქმებულის - ხაშურში, შესმის ქარხნის დასახლებაში მცხოვრები თამაზ ჩარექტიზილის გარდაცვალება.

„შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა მოახდინა მყისიერი რეაგირება და დაიწყო უბედური შემთხვევის მოკვლევის პროცედურები. მოკვლევის შედეგად, შრომის ინსპექციამ გამოავლინა უსაფრთხოების წესების დარღვევა, კერძოდ, სამუშაოს წარმოებისას გამოიყენებოდა დაზიანებული, ამორტიზებული, ტექნიკურად დაუმართავი მძიმე ტექნიკა, სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა, საფრთხეების არასწორიარასრულყოფილი იდენტიფიცირება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ შრომის ინსპექციის მიერ, მიმდინარე წელს არაერთგზის განხორციელდა „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ მუდმივმოქმედი ფილიალის იმიჯინგზის ინსპექტირება, რის საფუძველზეც კომპანია მიმართ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ტიპის ადმინისტრაციული სახდელი, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კომპანიაში კვლავ გამოწვევად რჩება შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დამკვიდრება.

აქედან გამომდინარე, უბედური შემთხვევის მოკვლევის, ინსპექტირების განხორციელებისა და ანალიზის საფუძველზე, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნულ ობიექტზე ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებულ იქნას სამუშაო პროცესის შეჩერება და ჯარიმა - 50 000 ლარის ოდენობით.

შრომის ინსპექცია მოუწოდებს ყველა დამსაქმებელს, მოხდეს შრომის უსაფრთხოების კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვა სამუშაო ადგილებზე, წინააღმდეგ



შემთხვევაში შრომის ინსპექცია გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმს, რათა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების - უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ხაშურის მოამბის“ რედაქცია უსამძიმრებს თამაზ ჩარექიშვილის ოჯახს ამ ტრაგიკული ფაქტის გამო.

მხოლოდ შრომით და გარჯით...

ბუნებამ საქართველოს ყველაფერი მისცა, რომ კაცმა ადამიანურად იცხოვროს.

ცხოველმყოფლია ჩვენი მზე. შავი ზღვა იწოვს მის სითბოს და ქვევანას აწვდის გვან შემოდგომამდე. ჩრდილოეთიდან ბუნებრივი ბასტიონ აკრავს, კავკასიონი თითქოს, საეციალურად აღმართეს, რომ ყინულოვანი ოკეანიდან წამოსული ხორშაკი შეაჩროს.

საქართველოს კლიმატზე იტყვიან, ალბათ, უმაღლესი კლასისაა. ჩვენი მიწა ყველაფერს იძლევა, რომ კაცმა ადამიანურად იცხოვროს. აქ თითქმის ყველაფერი ხარობს, რაც კი ადამიანის ფანტაზიით შექმნილი სამოთხის ბაღში უნდა ჰქვაოდეს. მოსაფალი კი ზოგგან „ორმაგი ტირაჟით“ შეიძლება მოიყვანო – წელიწადში თრი მოსაფალი.

საქართველოს მარტო მიწამ და ცამ როდი დააბერტეს მადლიანი კალთა, წინაპერებმაც არ დააკლეს ზრუნვა. ისეთი ძეგლები დაუზოვეს, უდამაზეს ბუნებასთან ერთად, ტურიზმის ცენტრად შეიძლება იქცეს. ტურისტებიც ხშირად გვაკითხავენ „ურველქლიურად ასიათასობით ტურისტი ჩამოდის. საქართველოდან კი ათასობით ქართველი მიდის, ტურისტად კი არა, ემიგრაციაში. ზოგი ფულის საშოვნელად, უმეტესობა კი – სამუშაოდ.

მათ შორის, ქვიშეთველებიც არიან. რამდენიმე მათგანი ევროპის კეთილმოწყობილ ციხეებში იხდის სასჯელს. ბევრი კი თავზარგული შრომის მეორეხარისხოვან სამუშაოზე.

ქვიშეთი! იშვიათად შეხვდები საქართველოში ადამიანს, ქვიშეთი რომ არ იცოდეს – ლიხის მთის შეფენებაზე მდებარე ულამაზესი სოფელი, რომელიც დასავლეთის და აღმოსავლეთის გზის გასაყარზე მდებარეობს. მისი მშვენიერი ბუნება, ბარისა და მთის შეზავებული მშრალი კლიმატი ძეგლი დროიდან იქცევს უურადღებას. „შოლის პირის დასავლეთით, შოლისავ კიდეზედ არს ქვიშეთი, ზაფხულს პავითა ამო, შუენიერი“... გამცნობს დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი. არც ერთი სოფელი თუ კუთხე ასე არ შეუქია.

გარდა იმისა, რომ აქ დიმიტრი ყიფიანს ედგა სტუმართმოყვარე სახლი და გარდა XIX საუკუნის ინტელიგენციის თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, ამ სოფლის სახელთანაა დაკავშირებული სხვადასხვა თაობის საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა სახელმწიფი. რომელი ერთი ჩამოვთვალო. დიმიტრი ყიფიანის შვილები, შვილიშვილები და ძმის შვილები: ნიკო, ელენე, კოტე, ნინო. მიხეილ ყიფიანი, მისი და ეფროსინე, ქუთაისის თეატრის დამარსებელი... მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიანელი, გერონტი ქიქოძე, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია... აქ ხომ დიმიტრი ყიფიანის ოჯახის სტუმრები იყვნენ ილია, აკაკი... ქვიშეთში უცხოვრია და აქ გაუკეთებია საბოლოო რედაქცია „სიტყვის კონასავით“ სულხან-საბა თრბელიანს.

როგორც აღნიშნეთ, სოფელი უძველესი დროიდან იქცევდა ფურადღებას, XIX-საუკუნეში კი, ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებელ და მიმზიდველ აგარაკად იქცა. ეს რომ ასე იყო, მაშინ დელი პრესის ფურცლებიდანაც ჩანს. შურნალმა „კვალმა“ საეციალური წერილიც მიუძღვა: მოგვყვავ ნაწყვეტი აღნიშნული წერილიდან:

„სოფელი ქვიშეთი. ეს ათი წელიწადი იქნება, რაც ქვიშეთში ყოველწლივ აუარებელი ხალხი მოდის სააგარაკოდ. ეს სოფელი მშვენიერი მდებარეობით და გრილი ჰევრ ხალხს იზიდავს თავისეკენ. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ჩვენი ქართველი საზოგადოება მნიშვნელობას არ აძლევს ამ ფრიად საყურადღებო და თავისთვის სასარგებლო საქმეს. ამ წლის განმავლობაში ქვიშეთლებს არავითარი საშუალება არ უსმარიათ, რომ სააგარაკოდ მოსული ხალხი დააქმაყოფილონ. არ არის რიგიანი გზები. არ ვარგა სახლები, რომელიც დღიდან გაკეთებისა არ შეკეთებულან. ვერ იშოვი საჭირო სანოვაგეს... ერთი სიტყვით. მცხოვრებლები ყიდიან მხოლოდ პაერს და პაერი კი, უნდა მოგახსნოთ მშვენიერია... თუ ქვიშეთლებს თავისთვის სიკეთე უნდათ, რომ არ დააკლდეთ შემოსავალი, საჭირო შეაკეთონ სახლები, გაიყვანონ რიგიანი გზები... თორემ მერე თვითონვე ინანებებენ.“

ამ წერილიდან კარგად ჩანს, თუ რა მიმზიდველი იყო ქვიშეთის პავა და მდებარეობა. XX საუკუნეში, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შედეგად, სოფელი უამრავი დამსვენებელი სტუმრობდა. განხასაჭურებით გაიზარდა მათი ნაკადი 50-იან წლებში. თითქმის არცერთი ბინა არ რჩებოდა გაუქირავებელი, 4 პიონერთა ბანაკი და საბავშვო ბადი მუშაობდა. ბინის ქირასთან ერთად, ქვიშეთლები დასაქმებულები იყვნენ და დამსვენებლებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ამარაგდნენ. სუმბათაშვილების ციხე-გალავნის სამხრეთი, კედლის ძირში, ბაზარი მუშაობდა, რომელიც, ძირითადად, დამსვენებლებს ემსახურებოდა. აქ, მათი მოწეული პროდუქტები იყიდებოდა: ქორფა მწვანილი, შუშა კიტრი, პომიდორი, ქათმები, წიწილები, რძის პროდუქტები, ხილი და სხვა.

თუ იქვე მიწით ამოვსებულ გოდოლზე დადგებოდი და ბაზარს მადლიდან გადმოხედავდი, გული სიამით აგევსებოდა. ვის არ ნახავდით საყიდლებზე მოსულს: მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, მეცნიერებს პოლიტიკურ მოღვაწებს...

იმ წლებში, როდესაც სოფლის მცხოვრებლებს არსაიდან ფულადი შემოსავალი არ ჰქონდათ, ბინების გაქირავებით მიღებული თანხა პირდაპირ მისწერება იყო. ამ ფულით შეიძლებოდა ბავშვების სასკოლოდ მომზადება, ტანსაცმლის და სასწავლო ნივთების შეძენა.

საბჭოთა იმპერიის ნგრევა, სამუშაოროდ, ქვიშეთსაც დაეტყო. ქვეყანაში შექმნილმა სიდუხსჭირემ დამსვენებელთა რაოდენობა შეამცირა. გაპარტახდა პიონერთა ბანაკები. დამსვენებელთა

უმეტესობა საშუალო ფენას ეკუთვნოდა ეს ფენა გადატაკდა, უსახსროდ დარჩა და ლუკმაპური გაუხდა საძებარი და, ბუნებრივია, დასვენებისთვის არ ეცალა. სამწუხაროდ, ქვიშეთის კლიმატის მავნეობის შესახებ ჭორებიც გავრცელდა, თითქოს ქვიშეთის პავი კიბოს იწვევსო. ამას დაემატა ქვიშეთის გვირაბის შეარყოფითი დამოკიდებულება...

როგორც ჩანს, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ალლო ვერ აუდო საბჭოური სისტემის თვისებრივ ცვლას და იმის მაგვირად, რომ ფეხების მიკუთვნილება ცხოვრების რიტმს, ტირილსა და წუწუნს უნდება, ვერ ხვდებიან, რომ წარსულზე ტირილი კარგს არაფერს მოგვიტანს. შრომა და გარჯაა საჭირო. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ ახლა მომი „სისხლის დვრისა კი არა – თველის დვრისა, მო უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი“. ეს მომი შრომისაა და ვითარდა შრომა პატიოსანია, ნამუშიანია და ასეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსახენი, როგორც უწინ თოფის და ხმლის ომი იყო.”

გადავხედოთ ახლა ჩვენს ველ-მინდვრებს, ეტყობა შრომისა და გარჯის კვალი? ათობით პა მოუხსავი და საძოვარად გაშვებული, საუკეთესო მიწები უპატრონოდ მიტოვებულია. რეფორმის დროს მიღებული ვენახების დიდი ნაწილი გადაგვარებულია: „ყურებში ბამბა გვაქს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია“ (ილია). რას ველოდებით? დრო არ იცდის, „დრო ფულია“ (ფრანგინი) ფული კი ყველაფერია.

გადავხედოთ დღევანდველ მსოფლიოს. მისაბაძი მაგალითები უამრავია. მხართეობზე წამოწოლილ ერს სასიკეთო არაფერი შეუქმნია. სიდატაკეში ცხოვრობდნენ და ასეა დღესაც. ევროპელები, აშშ. იაპონია – სასწაულებს ახდენენ. გერმანია და იაპონია II მსოფლიო ომში მიწასთან გაასწორეს. იაპონიაში ერთადერთი ქალაქი კიოტო იყო, რომელსაც მომი არ შეხებია. ამერიკელებმა დაინდეს, როგორც ქალაქი მუხუმი, იაპონელთა ეროვნული სიამაყე. ანდა, შორს რატომ ვიხედებით? ჩვენს პატარა, ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ – ესტონებმა მსოფლიო გაარცა ეკონომიკური განვითარებით. რატომ მაინცდამაინც დუარსაბას ვემსგავსებით „ოთარაპანთ ქვრივები“ არ გვვავდა? როგორ შეიძლება მიწაზე მუშაობა ეზარებოდეს კაცს, ჩვენს მარჩენალზე. პეტებით ქვიშეთელ ფერმერს გიზო ცუცქირიდეს – იძლევა თუ არა მიწა შემოსავალს. ბევრმა ქვიშეთელმა ნაკვეთების მუქთად გაყიდვა უკვე მოასწორ და სხვის ხელის შემყურებელ გახდა.

ხშირად გაიგონებ ურა-პატრიოტისაგან, თითქოს მოდის ვიდაც გადამთიელი და ჩვენი მიწების ხელში ჩაგდებას ცდილობს. რა პეტონიათ ამ ადამიანებს უსაქმურობით შევინარჩუნებთ რამეს?



მოვუსმინოთ ისევ ილიას; „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობია, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწაწყვალი... ხმლიანს მტერს გავუძღინოთ... შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს. ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგწყვეტს, სასხენებელი ქართველისა ამოიძირება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო სუდარას, სხვანი დაეპარტონებიან“. ასე გმომდევრავს და გვასწავლის

გამოხმაურება წერილზე „ჩვენი მუნიციპალიტეტის ველური ბუნების ბიონერლეული - ეკონომიკულ ბაზარზე”

ყოჩალ, ხაშურელებო!

მსოფლიოს ისტორიაში არსებობდნენ მრავალი ქვეყნები, რომლებიც განადგურდნენ, მაგრამ მიუხედავად მრავალი დამპყრობლების შემოსევებისა, საქართველო გადარჩა. ეს ფერმენი არ არის მხოლოდ მებრძოლი ქართველების დამსახურება, ქვეყნა გადაარჩინა ველურმა ბუნებამ, (ტექმ), რომელიც იყო ძლიერი ფარი. ის არა მარტო ფარავდა ტყეში გახიზნულ მოსახლეობას, არამედ კვებავდა, ათბობდა და აცმევდა.

ძალიან საწყინია, რომ დღეს არც ტყე გვაქს და არც ღმერთისგან ბოძებულ მის რსურსებს ვიყენებთ რაციონალურად.

მისასალმებელია ვლადიმერ გოგოლაძის აზრიანი და საქმიანი ინიციატივა. მიუხედავად სიძნელეებისა და არასწორი მიღვომებისა, რომლებიც არსებობს, შპს „იბერია ფრუქტისი”, ახლო მომავალში ჩამოყალიბდება მსხვილ კონცერნად, რომლის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე გავა მსოფლიოს ბაზარზე.

44 წელი ვიმუშავე მეცნიერ-თანამშრომლად თბილისის სამთო მეტყველების ინსტიტუტის ახალდაბის სატყეო საცდელ სადგურში, სადაც გარეული ნაყოფმომცემი მცენარეების, მათი გავრცელების არეალის, მოსავლიანობის, მავნებელ დავადებების შესწავლით ვიყავი დაკავებული. მიუხედავად პრობლემის აქტუალობისა, არც ერთმა მთავრობამ კვლევის შედეგები პრაქტიკაში არ დანერგა, ათასობით ტონა ძვირფასი, ეკოლოგიურად სუფთა, ღვთისაგან ბოძებული პროდუქტი რჩება აუთვისებელი, გარდა მცირენაშია, რომელსაც იყენებს მოსახლეობა.

2011 წელს, რდესაც ბიზნესმენმა კახა ბენდუქიძემ შეიძინა რამ-



დენიმე უნივერსიტეტი, მან გადაწყვიტა შტატების შემცირება და სამეცნიერო საქმიანობის ბიზნესრელსებზე გადაკვანა. იმავე წელს, მისავე დაარსებულ “თავისუფალ უნივერსიტეტში” ჩამოყალიბდა 20-25 კაციანი კომისია, რომელიც შედგებოდა “თავისუფალი უნივერსიტეტისა” და აგრარული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავ-



ლებლებისაგან. მათ მოიწვიეს სამთო მეტყველების ინსტიტუტის მეცნიერები გასაუბრებაზე. მე თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მე, როგორც პენსიონერს, სამსახურიდან დამითხვდნენ, ამიტომ გადავწყვიტე 15 წელიან მოხსენებაში “მეყარა გულის ჯავრი”, ამიტომ მოხსენება დავიწყე მაშინდელი მთავრობის კრიტიკით.



იმ დროს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო კამპანია და ლურჯი მოცვის ჯიშებით სკანდინავიის ქვეყნებიდან შესყიდვით და სამეგრელოში გაშენების. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოყვანილი პროდუქციით მიიღებდნენ დიდ შემოსავალს. მე კომისიას მეცნიერულ დონეზე დავუმტკიცე, რომ ეს დონისძიება არის ფულის ფლანგვა, რომელსაც შედეგი არ მოყვება. ვინაიდან მოხსენება გასცდა რეგლამენტით მოცემულ დროს, კომისიის თავმჯდომარემ მომცა შენიშვნა და შეკითხვა თუ რას ვთავაზობდი. პასუხი მზად მქონდა, შევთავაზე, ჩამოყალიბებულიყო ფირმა, რომელიც დაასაქმებდა მოსახლეობას გარეული ხილკენკროვანების (მოცვი, ასკოლი, ქაცვი, შინდი, პანტა, მაჟალო და სხვა) ნაყოფის შეგროვებით შეისყიდის და და დაიწყებს სერიოზულ ბიზნესს საქართველოში. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა, ხელი აგვედო ლურჯი მოცვის გაშენებაზე და ფულის ხარჯვაზე. ჩემი ლექცია მოახსენეს კახა ბენდუქიძეს. მას მოეწონა ეს წინადაღება, მიმიწვიეს შეხვედრაზე აგრარულ უნივერსიტეტში იმ თანამშრომლებთან ერთად, რომლებსაც ჰქონდათ შეხება ნებისმიერ ნაყოფმომცემ მცენარეებთან და მათი გადამუშავების ტექნოლოგიასთან. საორგანიზაციო სამუშაოების შედეგ, უნდა დავნიშნულიყვავი სამუშაოების კოორდინატორად.

მეგონა, რომ ასრულდა ჩემი ნატერა, მაგრამ ბატონი კახა მალე გარდაიცვალა, გაუქმდა ახალდაბის სატყეო საცდელი სადგური, ყველა თანამშრომელი გაგათავისუფლება სამსახურიდან და იდეა ჩაკვდა.

დღეს კი, როდესაც ამ იდეის რეალიზაციას ვხედავ, უბრალოდ აღფრთოვანებული ვარ.

უზარ, ხაშურელებო! დმერთმა ხელი მოუმართოს ვლადიმერ გოგოლაძეს და მის კომპანიონებს დიდებულ საქმეში.

**მიხეილ ზედელაშვილი,
მეტყევე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი**

რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობა ინტენსიურ რეუიმში მიმდინარეობს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, რეგიონში უპრეცენდენტო ინფრასტრუქტურული პროექტის, რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობა ინტენსიურ რეუიმში მიმდინარეობს

მათივე ცნობით

- ხევი-უბისას მონაკვეთზე, 20 გვირაბიდან, სამუშაოები მიმდინარეობს 7 გვირაბზე და 35 ხიდიდან 11 ხიდზე;
- ხევი-უბისას მონაკვეთზე, 20 გვირაბიდან, სამუშაოები მიმდინარეობს 7 გვირაბზე და 35 ხიდიდან 11 ხიდზე;
- უბისა-შორაპანის მონაკვეთზე სამუშაოები 6 გვირაბზე და 5 ხიდზე ხორციელდება, ამასთანავე გრძელდება მიწის და სხვა ტიპის სამუშაოები;
- ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთზე სამობილიზაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ხოლო შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე სატენდერო წინადაღებების შერჩევა-შეფასება ხდება.

- ბიზნესი -

„ახალი გემო“ სიახლეებით შემოტაცის

„ხაშურის მოამბე“ აკრძელებს საშუალო და მცირე ბიზნესის საინფორმაციო მხარდაჭერას, რადგან მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკის აღმავლობაში და უმუშევართა რაოდენობის შემცირებაში მათ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. დღეს ერთ-ერთ ახლადგახსნილი საწარმოს შესახებ გიამბობთ.

ხაშურის ბაზარს მზა პროდუქტების კიდევ ერთი მცირე საწარმო შექმატა. რუსთაველის ქუჩის დასაწყისში მდებარე „ახალი გემო“ ერთი თვეა უკვე მომხმარებლის დიდ მოწონებას იმსახურებს. მიუხედავად ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციისა, „ახალი გემოს“ დამფუძნებლებმა, გადაწყვიტეს სხვა ნიშა დაიკავონ ბაზარზე, რაც მათ წამოებას ხარისხით და გემოვნური თვისებებით გამოარჩევს. ჩვენ ვესტუმრეთ საწარმოს, დავვსწარით წარმოების პროცესს, დავაგემოვნეთ პროდუქცია, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ჩვენს დადებით შეფასებას. თუ რატომ გადაწყვიტეს ათვისებულ ბაზარზე შემოსვლა და რას გვთავაზობენ, „ახალი გემოს“ დამფუძნებლებს ქალბატონო თამარ, მოგვიყევით თქვენი ახალი საქმის



შესახებ. რა არის „ახალი გემო“ და რა გამოცდილებით მოხვედით?

— დაახლოებით ორი წელია გვაქვს მზა პროდუქტების საოჯახო ბიზნესი, რომელმაც ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა მომხმარებლების მხრიდან, რამაც გვაფიქრებინა მსგავსი ტიპის საწარმოს გაკეთებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ადგილობრივი ბაზარი თითქმის ათვისებულია ამ მხრივ და რისკიც არსებობდა, მაინც გადავწყვიტეთ, რომ ხარისხი აგვაწია და ფასები თანხვედრაში მოგვეყვანა საბაზრო დირგბულებასთან. გარდა ამისა, არიან იმ ადამიანთა კატეგორიაც, რომელსაც უბრალოდ არ აქვთ თავისუფალი დრო სახლში მოამზადონ, ამიტომ გვენდობა, რომ იმ ხარისხს და გემოს შევთავაზებთ, რომელსაც ელის. ეს უკვე კმაყოფილი და ერთგული მომხმარებელია, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ეს ის პროდუქტია, რომელსაც თვითონაც მოვიხმართ საკუთარი ოჯახებისთვის.

— წარმოებაში რამდენისახის პროდუქცია გაქვთ ამ ეტაპზე?

— ჯერ გაფართოების ეტაპზე ვართ. გვაქვს ქაბაბი, კოტლეტი, კუპატი, გუფთა, ტოლმა, ბლინების სხვადასხვა ასორტიმენტი, ცოტა ხანში ველოდებით ხინკალს და პელმენებს. გვინდა უამრავი პროდუქციის დამატება, ველოდებით მაცივრებს, რომ გაუყინავი ფორმითაც მივაწოდოთ მომხმარებელს პროდუქ-



ცია. ასევე, ვაპირებთ გაყინული ხაჭაპურის, პიცის დამატებას.

— უკელა მზა პროდუქტის მწარმოებლებს თავისი მომხმარებლები ჰყავთ, როგორ მოიზიდეთ მომხმარებლები და რამდენად კმაყოფილები არიან?

— ერთი თვეა გავსხვით საწარმო და მომხმარებელი, რომელიც ერთხელ მოვიდა, უკვე ჩვენი კლიენტი ხდება. ჩვენთან შეუძლიათ საკუთარი თვალით ნახონ საწარმო პროცესი, რაც მათ დიდ ნდობას იწვევს. იმის მიუხედავად, რომ დიდი ხანი არაა, რაც შემოვედით ბაზარზე, მომხმარებლების რაოდენობას არ ვუჩივით საწყის ეტაპზე.

— როგორ ნედლეულს იუნინებთ პროდუქციის წარმოებაში?

— ესაა გაყინული ხორცის უმაღლესი კატეგორია, რომელიც საქმაოდ მაღალი დირებულებისაა, საუკეთესო გემოვნური თვისებებით ხასიათდება. ვიყენებთ ასევე ადგილობრივი წარმოების ღორის ხორცსაც.

— როგორ ფიქრობთ, რითი გამოი

რჩევით სხვა, მზაპროდუქტების მწარმოებლებისგან და თუ განსხვავდება ფასები?

— თავიდანვე, ჩემი გათვლა იყო, ეს ყველაფერი, რასაც გავაკეთებდი, ყოფილიყო განსხვავებული, ის, რასაც არ სთავაზობს სხვა. თავდაპირველად, მცირე შეკვეთებს ვიღებდი სახლის პირობებში, რადგან არ მქონდა შესაბამისი აკრედიტაცია. რაც შეეხება ფასებს, გვესმის, შექმნილი სოციალური მდგომარეობა და ვაცადეთ შევინარჩუნოთ ფასები, ბაზარზე არსებული ფასთა ცვლილებების მიუხედავად. ყველანირად ვეცდებით ხარისხი არ შევცვალოთ. რამდენიმე ადამიანმა გამოთქვა სურვილი, რომ მხოლოდ ქართული ხორცით დავამზადოთ და მზად არიან გადაიხდონ შესაბამისი ღირებულება.

— მარკეტების ქსელში შესვლას თუ აპირებთ?

— ჯერ-ჯერობით არ გავსულვართ, ისე კი გავიარეთ ყველა პროცედურა, რაც საჭიროა ქსელში გასვლაზე. რადგან ამ ეტაპზე, ჩვენი წარმოება მცირეა, ეტაპობრივად გავალო ბაზარზეც.

— როგორც ვიცი, მომხმარებელს მზა პროდუქციის გარდა, მის გემოვნებაზე მორგებულ სერვისსაც სთავაზობთ...

— ნებისმიერ დროს შეგვიძლია მივიღოთ შეკვეთა, რომელსაც მომხმარებლის გემოვნებას მოვარგებთ, შეუძლიათ წაიღონ გაყინულიც და გაუყინავიც, შესაბამისი შეფუთვით მივართოთ.

— ამ ეტაპზე რამდენი დამხმარე გყავთ?

— ამ ეტაპზე, გვყავს ოთხი ქალბატონი დასაქმებული, თუმცა, წარმოების გაზრდის შემდეგ, გავზრდით მათ რაოდენობასაც.

თამარ ჯავახიშვილი

შეხვედრა მენტორ მასწავლებლებთან

მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურაშვილი და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ, სხვადასხვა საჯარო სკოლების მასწავლებლებს, რომლებმაც, კარიერული სქემის წინსვლის ფარგლებში, მენტორის სტატუსი მოიპოვეს, პროფესიული დღესასწაული მიულოცეს და ადნიშნეს, რომ მათი შრომა ფასდაუდებლია, რადგან მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად, თანამედროვე საზოგადოების ლიდერებად და მოაზროვნე ადამიანებად აღზრდა, უმეტესწილად, სწორედ პედაგოგების დამსახურებად.

მენტორ მასწავლებლებს: ნინო მასურაშვილს, ლელა კორკორაძეს, ინგა გოგალაძეს, ქეთევან ლომიძეს, ნანი მაკარიძეს, ფატმან ლამბაშიძეს, ლალი კაკიაშვილს, თამარ ნატრიაშვილს და შორენა ბაკურაძეს, მუნიციპალიტეტის მერიისგან საჩუქრები გადაეცათ.





საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სურამის ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო. არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ, შედეგებზე დაყრდნობით, მომზადდება პროექტი მისი რეაბილიტაციის შესახებ. სურამის ციხე, მისი ადგილმდებარეობიდან და უძველესი ლეგენდიდან გამომდინარე,

ძალზე საინტერესო კულტურული ობიექტია ტურისტებისთვის. მის გარშემო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და შემდგომ ციხის რეაბილიტაცია კი მის დამთვალიერებელთა რიცხვს მკვეთრად გაზრდის, რაც სურამში ტურიზმის აღმავლობას შეუწყობს ხელს.



“ხაშური-ისტორიის გზაჯვარედინზე” - ახალი ფილმი ჩვენს მუნიციპალიტეტები

ხაშურის კულტურის ცენტრში, გაიმართა ჩვენება ისტორიულ-დოკუმენტური ფილმისა „ხაშური-ისტორიის გზაჯვარედინზე”, რომელიც გადაღებულია შსს-ს არქივის მასალების მიხედვით. ფილმი მომზადდა პროექტის ფარგლებში „ადადგინე ისტორია არქივთან ერთად”, რომლის იდეის ავტორები და განმახორციელებლები არიან ხაშურის მაჟორიტარი ტეპურატი სიმონ ნოზაძე და შსს-ს არქივის დირექტორი

ომარ თუშერაშვილი. ფილმი ასახავს XVIII-XIX საუკუნეების ხაშურის ისტორიული და პოლიტიკური ცხოვრების აქამდე უცნობ ფაქტებსა და მოვლენებს, როთაც მაყურებლის დიდ ინტერესს იწვევს. დაბურულ წენებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ფილმის ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობა შეაფასეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილმა, პედაგოგიკის დოქტორმა ზურაბ ცეცქირიძემ და სხვებმა.

მაღლე იგეგმება ფილმის პრეზენტაცია ფართო საზოგადოებისათვის, რომლის შემდეგ მოხდება მისი ტირაჟირება. ფილმის რეჟისორი გახლავთ მიხეილ ბასილაძე, ოპერატორი - კახა ბუხრაშვილი, გამსმოვნებელი-მსახიობი ზაზა იაქაშვილი, კონსულტანტი - ისტორიკოსი თამაზ ლაცაბიძე, ხოლო მისი გადაღება შესაძლებელი გახდა რობერტ გელაშვილის მხარდაჭერით. ასევე, გამოსაცემად მზადაა წიგნი „ისტორიის კვალდაკვალ-ხაშური“. სარედაქტო კოლეგია: მთავარი რედაქტორი ნინო ყიფშიძე, ტექნიკური რედაქტორი - მერი ბარბაქაძე.

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ შსს-ს არქივისა და ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების თანამშრომლები.

D

არასამთავრობო ორგანიზაცია „ხაშურის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა კავშირი“ ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო განათლება-აქტიური ამობრნეველი“. პროექტის უარგლებში, 29 ნოემბერს, დაწყება ტრენინგი საარჩევნო, გენდერული და სახელმწიფო მოწყობის საკითხებზე. ტრენინგები თითოეული ჯუფისთვის თხედდიანია. ტრენინგები გაგრძელდება 22 ნოემბრამდე და გაიცემა სერტიფიკატები.

ტრენინგი ჩატარდება ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისში(ხაშური, კოსტავას ქ.№7).

მსურველები(18 წლიდან) დაგვიკავშირდით ტელეფონზე 551 410 150 ან ელ. ფოსტაზე:

mindiaqurdadze@gmail.com

მინდია ქურდაძე, პროექტის მენეჯერი

გიზვევთ ტრენინგზე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ხაშურის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა კავშირი“ ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო განათლება-აქტიური ამობრნეველი“. პროექტის უარგლებში, 29 ნოემბერს, დაწყება ტრენინგი საარჩევნო, გენდერული და სახელმწიფო მოწყობის საკითხებზე. ტრენინგები თითოეული ჯუფისთვის თხედდიანია. ტრენინგები გაგრძელდება 22 ნოემბრამდე და გაიცემა სერტიფიკატები.

ტრენინგი ჩატარდება ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისში(ხაშური, კოსტავას ქ.№7).

მსურველები(18 წლიდან) დაგვიკავშირდით ტელეფონზე 551 410 150 ან ელ. ფოსტაზე:

mindiaqurdadze@gmail.com

მინდია ქურდაძე, პროექტის მენეჯერი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

მ-ით მონიშნული სტატია იბჟდება დაკვეთით

გაზეთი იბჟდება თბილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.